განკარგულება:**გ-49. 492605812**
თარიღი:**27/02/2026**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს ანგარიში 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

ანგარიში

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ რომ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლში“ 2025 წელს ირიცხება 240 ბენეფიციარი. მათი კვება ხდება დღეში ერთხელ, წელიწადში 365 დღე. მათ მომსახურეობას უწევსა(ა)იპ-ის 11 თანამშრომელი.

სათნოების სახლის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, 2025 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 597 400 ლარს, აქედან 3-4 კვარტალში დაიხარჯა 263 746 ლარი .

კვების რაციონს შეადგენს :

კვირაში 5 ჯერ ხორცის კერძი, წვნიანები , წიწიბურას, ბრინჯის და ვერმიშელის ფაფები, კვერცხი, ლობიო, მაკარონი , ყველი, 300 გრამი პური,ერთ ბენეფიციარზე და ხილის კომპოტი.

2025 წლის კვების ტენდერი გამოცხადებული იყო 332 383 ლარზე, ტენდერების დასრულების შემდეგ საბოლოო თანხამ შეადგინა 282 679 ლარი.

2025 წელს ერთ ბენეფიციარზე დღეში იხარჯებოდა 3,23 ლარი. კვების ტენდერი გამოცხადებული იყო 3,79 ლარზე,

წარმატებით მუშაობს „შინმოვლის“ პროგრამა, რითაც გადაადგილების შესაძლებლობას მოკლებულ ბენეფიციარებისათვის სახლში მიგვაქვს საკვები, ასეთი გვყავს 20 ბენეფიციარი. ყოველდღიურად ვაწვდით საკვებს და სხვა სერვისებს .

2025 წლის 3-4 კვარტალის ხარჯი ასეთია:

შრომის ანაზღაურებაში დაიხარჯა - 88 338 ლარი

კომუნალურ ხარჯებში -2 825ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯი -889ლარი

საახალწლო საჩუქრის შეძენა 4 440 ლარი.

სხვადასხვა ხრჯებში (რეცხვა ქიმწმენდა , ტენდერის ხარჯი, საქმისწარმოება, უნიფორმა, ოფისის ხარჯი, საკანცელარიო, დეზინფექცია და ა. შ.) –19 166 ლარი

დაცვის ხარჯი- 560 ლარი

კვება- 137 355 ლარი.

ტრანსპორტის ხარჯი (შეკეთება, საწვავი, მოვლა პატრონობა) -9 258 ლარი.

სამზარეულოს ინვენტარის შეძენა 915 ლარი.

სულ 2025 წლის 3-4 კვარტალში დაიხარჯა 263 746 ლარი.

სათნოების სახლი მუშაობს ყოველგვარი შეფერხების გარეშე.